



8186/3-125/21 2 02082021

8186/3-125/21
02-08-2021

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს

მოგესალმებით,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ მომაწოდოთ ინფორმაცია:

ა) ამნისტიის შედეგად საპატიმრო სასჯელისაგან გათავისუფლებულ მსჯავრდებულთაგან რამდენმა ჩაიდინა დანაშაული განმეორებით 2013-2021 წლებში?

ბ) განმეორებით ჩადენილი დანაშაულებიდან რამდენი იყო:

1. თავი XIX. დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ (საერთო ჯამში)

- მუხლი 108. განზრახ მკვლელობა
- მუხლი 109. განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში

2. თავი XX. დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (საერთო ჯამში)

- მუხლი 117. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება
- მუხლი 118. ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება
- მუხლი 126. ძალადობა
- მუხლი 126'. ოჯახში ძალადობა

3. თავი XXII. დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის

წინააღმდეგ (საერთო ჯამში)

- მუხლი 137. გაუპატიურება
- მუხლი 138. სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება

4. თავი XXIII. დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ

(საერთო ჯამში)

- მუხლი 143. თავისუფლების უკანონო აღკვეთა
- მუხლი 143'. ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)
- მუხლი 143". არასრულწლოვნით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)
- მუხლი 144. მძევლად ხელში ჩაგდება
- მუხლი 144'. წამება

5. თავი XXV. დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ (საერთო ჯამში)

- მუხლი 177. ქურდობა
- მუხლი 178. ძარცვა
- მუხლი 179. ყაჩაღობა

- მუხლი 180. თადლითობა

6. თავი XXX. დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ
(საერთო ჯამში)

- მუხლი 224. ბანდიტიზმი
- მუხლი 224'. რეკეტულ დაჯგუფებაში მონაწილეობა
- მუხლი 236. ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა სანადირო გლუვლულიანი ცეცხლსასროლი იარაღისა (თოფისა)), საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება
- მუხლი 237. იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება მისაკუთრების მიზნით ან გამოძალვა
- მუხლი 238'. ცივი იარაღის ტარება

7. თავი XXXIII. ნარკოტიკული დანაშაული (საერთო ჯამში)

- მუხლი 260. ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება
- მუხლი 261. ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება
- მუხლი 262. ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების საქართველოში უკანონოდ შემოტანა, საქართველოდან უკანონოდ გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა
- მუხლი 263. საქართველოში ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების დიდი ოდენობით უკანონოდ შემოტანა, საქართველოდან უკანონოდ გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა
- მუხლი 265. ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა, მოყვანა ან კულტივირება
- მუხლი 273. ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარება
- მუხლი 273'. მცენარე კანაფის ან მარიხუანის უკანონო შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან/და გასაღება

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
იაგო ხვიჩია

